ტესტი ლიტერატურაში

2010

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. წერითი დავალება.

ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და შემდეგ შეავსეთ პასუხების ფურცელი. მხედველობაში არ მიიღება ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი პასუხები, ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის.

დაკვირვებით წაიკითხეთ ტესტის ყოველი დავალების პირობა. პასუხების ფურცელში წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის გამოყოფილი ადგილები. შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ორივე წერითი დავალების შესრულება სავალდებულოა. შეგიძლიათ თხზულებები ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, ხოლო შემდეგ გადაათეთროთ.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(2) **1. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“.**
1. *რა* მიზნით დაედევნა ჯოჯიკი ჩორს გამგზავრებულ პიტიახშს?
2. *რა* უსაყვედურა მომაკვდავმა შუშანიკმა ჯოჯიკსა და მის ცოლს?

(1) **2. გაიხსენეთ იოვანე საბანისძის „აბოს წამება“.**
აბოს გაქრისტიანების *რა* მიზეზი ივარაუდა ამირამ?

(2) **3. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**
1. კონკრეტულად *რით* ახსნა საბა იშხნელმა ის, რომ ბაგრატ კურაპალატის პირველსავე ხმობაზე არ გამოცხადდა მასთან?
2. *რით* ახსნა საბა იშხნელმა ის, რომ საბოლოოდ მაინც ეახლა კურაპალატს?

(4) **4. გაიხსენეთ „ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“.**
1. *რა* ბრძანება გასცა მეფე ფარსადანმა მაშინვე, როგორც კი სასიძოს მკვლელობის შესახებ შეიტყო?
2. *გადმოეცით* ფარსადანის ნათქვამი, რომელიც ააშკარავებს – იგი თვალთმაქცობს, როდესაც ტარიელს უთვლის: „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?“
3. ფარსადანის აზრით, ისეთი *რა* დანაშაული მიუძღოდა დავარს, რომ მეფემ მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა?
4. *რა* საბედისწერო შედეგი მოჰყვა ფარსადანის ამ გადაწყვეტილებას?

(1) **5. სულხან-საბა ორბელიანი მოგვითხრობს, რომ მეფე ფინეზმა უფლისწული ჯუმბერი აღსაზრდელად ლეონს მიაბარა.**
ლეონის აზრით, *რას* უქადდა თავად მას მეფის ეს გადაწყვეტილება?

(2) **6. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“.**
1. ავტორის სიტყვებით, *ვინ* იყო მისი „პატრონი“ ტყვეობაში?
2. მხატვრული ასახვის *რომელ* პრინციპს ანიჭებს უპირატესობას დავით გურამიშვილი?

(2) **7. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.**
1. *რატომ* სურს პოეტს, სიკვდილამდე უმზიროს თამარ მეფის ფრესკას და „არ გამოფხიზლდეს?“
2. *რას* შესთხოვს პოეტი თამარ მეფის ხატებას?

(2) **8. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“.**
1. *რას* გულისხმობს მეფე ერეკლე ქვემოთ მოყვანილი სტროფის ბოლო ორ სტრიქონში?

„და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას
განვუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი, მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს!..“

2. *რა* არის იმის პირობა, რომ ქართველებს „უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ“?

(2) **9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“.**
1. *რატომ* არ სიამოვნებდა ლუარსაბს სტუმრის მისვლა?
2. *რა* გახდა დავით და ლუარსაბ თათქარიძეების გაყრის საბაბი?

(2) **10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის „გამზრდელი“.**
1. *რა* არგუმენტით ამართლებს ბათუ თავის გადაწყვეტილებას – საფარ-ბეგის ნაცვლად მოიპაროს ცხენი?
2. *დაასახელეთ* იმავე ეპოქის სხვა პოემა, რომელშიც გვხვდება „გამზრდელის“ ანალოგიური სცენა – უბედურების მომასწავებელი ავდრის დროს თხზულებაში ახალი პერსონაჟი შემოდის.

(2) **11. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“.**
1. ალუდას სულიერი სამყაროს *რა* თავისებურება განაპირობებს იმას, რომ იგი თემის ტრადიციებს უპირისპირდება?
2. *რა* განცდა უბიძგებს ალუდას, მუცალის სულის საცხონებლად კურატი შესწიროს სალოცავს?

(2) **12. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“.**

1. *რატომ* იცრუა ზვიადაურმა ჯოყოლასთან შეხვედრისას?
2. *გადმოეცით,* ქისტების რა შეფასება მოჰყვა ჯოყოლას საქციელს, როდესაც ის მარტოდ-მარტო შეებრძოლა მომხდურ ხევსურებს.

(2) **13. გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“.**

1. კუზმას აზრით, *რამ* აიძულა ჰაკი, საკუთარ თავზე აეღო უჯუშის მიერ ჩადენილი დანაშაული?
2. *რა* მიზანი ამოძრავებდა ჰაკი აძბას, როდესაც მოკლული მეზღვაური დაიტირა?

(2) **14. გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“.**

1. *რა* აზრს გამოხატავს თეიმურაზის კისერზე ჩამოკიდებული ლეშის სიმბოლური სახე?
2. *დაასახელეთ,* რის მეშვეობით თავისუფლდება თეიმურაზი ამ საშინელი ხილვისაგან.

(2) **15. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.**

1. ლირიკული გმირის *რა* სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სტრიქონები – „ღამენათევი და ნამთვრალევი ჩემს სამარეში ჩავესვენები“?
2. *დაასახელეთ* მეტაფორა, რომლითაც ავტორი მიმართავს ღვთისმშობელს.

II. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **<u>დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება</u>.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის. ეს ნაწერი <u>არ სწორდება</u>.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ გრიგოლ ღვთისმეტყველის (IV ს.) „ბოროტის მიმართ“:

მოხვედი, ბოროტო, გამოვიცან შენი ზრახვები,
მოხვედი, რათა დამიბნელო სანუკვარი და მარადიული
საღვთო ნათელი.
ძნელად საძლევო, ბნელი ნათლად როგორ გამოჩნდი?
ვერ მომატყუებ ამდაგვარი შენი ფანდებით.
რად გამიჩაღებ მძიმე ბრძოლას ცხადად თუ მალვით?
რად აღგაშფოთებს შიში ღვთისა, მას აქეთ რაკი
გამოაძევე სამოთხიდან პირველად ადამ,
ქმნილება ღვთისა, ბრძნული მცნება მისტაცე ცოდვით
და ტკბილ ცხოვრებას მწარე საზრდო შენ განუმზადე?
როგორ გაგექცე, როგორ დავიხსნა თავი ტანჯვისგან?
სულ მცირე ცოდვით იპარები ნაკადად გულში,
ფართო გზას ჰპოვებ, აღბორგებული მღვრიე ტალღებით
მომიცავ ბოლოს და მიმიღებს ბნელი უფსკრული.
განვედი ჩემგან და მიმართე იმ ხალხს,
რომელმაც ღმერთი ვერ იცნო.
მე კი ხვედრი ვარ მაცხოვრისა, ტაძარი, მსხვერპლი
და როს ღმრთეებას ჩემი სული შეეზავება,
მეც ღმერთ ვიქმნები.
შენ კი ღვთისა და საღვთო ქმნილების მორჩილი იქმენ,
გეშინოდეს მისი რისხვისა, ღვთისმოშიშთა განწყობილ გუნდის
და იმათ მიერ გამოთქმული საგალობლების უწყვეტი ხმების.

თარგმნა ქეთევან ბეზარაშვილმა

ყურადღებით წაიკითხეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „სულო ბოროტო“:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?
ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მომცემდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!
მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რისთვის გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?
წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა!
მას აქეთ არის, დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!
განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა არის ნიკოლოზ ბარათაშვილის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა აქვს ამ ორ ტექსტს საერთო და რა განასხვავებს მათ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

1996 წელს გაზეთ „არილში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ჯემალ ქარჩხაძე ამბობს:

ნამდვილი კლასიკა მუდმივად იძლევა დიალოგის საშუალებას, რადგან ყოველი თაობა მასში რაღაც ახალსა და თავისთვის მნიშვნელოვანს პოულობს. ჩვენ კი ჩვენი კლასიკა მუზეუმში მოვათავსეთ, მინის კედელი ჩამოვაფარეთ და მხოლოდ შორიდან ცქერის უფლება დავიტოვეთ.

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

- თქვენ მიერ შესწავლილი მხატვრული ლიტერატურიდან მოიყვანეთ ერთი ან რამდენიმე არგუმენტი მოცემული მოსაზრების გასამყარებლად ან უარსაყოფად.
- იმსჯელეთ თქვენ მიერ დასახელებული ნაწარმოების მხატვრული ღირსებების შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია (ახსენით, რატომ ეთანხმებით ან ეწინააღმდეგებით ჯემალ ქარჩხაძის ამ მოსაზრებას).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის:

ლიტერატურა (არჩევითი გამოცდა)

შეფასების სქემა

1. ჯოჯიკი ჩორს გამგზავრებულ პიტიახშს იმ მიზნით დაედევნა, რომ შუშანიკისათვის ბორკილებისა და ჯაჭვის ახსნა ეთხოვა (შუშანიკის მწარე ხვედრი შეემსუბუქებინა; შუშანიკის ტანჯვა შეერბილებინა...). ჯოჯიკსა და მის ცოლს მომაკვდავმა შუშანიკმა უსაყვედურა, რომ ისინი წამებულ დედოფალს უსულგულოდ მოექცნენ (არ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება ტანჯული დედოფლის მიმართ; გულგრილად მოექცნენ; ვერ შეძლეს მისი დაცვა ვარსქენისაგან...).

1. შუშანიკისათვის ტანჯვა შეემსუბუქებინა ----------*1ქ.*

2. ყველამ გამწირეთო (არ შემიბრალეთო) ----------*1ქ.*

2. ამირამ აბოს გაქრისტიანების მიზეზად მისი ხელმოკლეობა (სიღარიბე, მატერიალური გაჭირვება, მოქრთამვა...) ივარაუდა.

აბოს მოსყიდვა ქრისტიანების მიერ ----------*1ქ.*

3. ბაგრატ კურაპალატის პირველსავე ხმობაზე გამოუცხადებლობა საბა იშხნელმა იმით ახსნა, რომ კურაპალატი ამქვეყნიური ხელმწიფეა, საბა კი ზეცისა და ქვეყნის მეუფეს ემორჩილება (ქრისტეს მორჩილმა საბამ საჭიროდ არ ჩათვალა, ამქვეყნიური ხელმწიფის თხოვნა გაეთვალისწინებინა; ორი ბატონის მსახურება არავის შეუძლია...). ის, რომ საბა იშხნელი საბოლოოდ მაინც ეახლა კურაპალატს, მან გრიგოლის წერილით ახსნა (ეახლა იმიტომ, რომ მოძღვარმა სთხოვა; გრიგოლის თხოვნას დაემორჩილა...).

1. ბერები მხოლოდ ქრისტეს ვემორჩილებითო ----------*1ქ.*

2. გრიგოლის ბრძანებით ----------*1ქ.*

4. როგორც კი სასიძოს მკვლელობის შესახებ შეიტყო, ფარსადანმა ტარიელის მასთან მიყვანის ბრძანება გასცა (ბრძანა, მისთვის ტარიელი მიეგვარათ...). ფარსადანის თვალთმაქცობას ააშკარავებს მისივე ნათქვამი: ვიცოდი, რომ ტარიელს ჩემი ასული უყვარდაო („მას უყვარდა ქალი ჩემი...“). ფარსადანის აზრით, დავარს ის დანაშაული მიუძღოდა, რომ ნესტანი ცუდად აღზარდა (ნესტანის გონება ღვთისაკენ არ წარმართა; „მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!..“). ფარსადანის ამ გადაწყვეტილებას ის შედეგი მოჰყვა, რომ განრისხებულმა დავარმა ნესტანი გადაკარგა (ნესტანი თავის მონებს კიდობანში ჩაასმევინა და ზღვაში გადააკარგვინა; ნესტანი და ტარიელი მრავალი წლით დაშორდნენ ერთმანეთს...).

1. ტარიელი მომიყვანეთო ----------*1ქ.*

2. მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოულვრიან ----------*1ქ.*

3. ნესტანი ცუდად გაზარდა ----------*1ქ.*

4. ნესტანის გადაკარგვა ----------*1ქ.*

5. ლეონის აზრით, მეფის ეს გადაწყვეტილება თვითონ ლეონს უქადდა წახდენას (საფრთხეს, განსაცდელს...).

სასიკვდილო საფრთხეს ----------*1ქ.*

6. ავტორის სიტყვებით, ტყვეობაში მისი „პატრონი“ იყო ღმერთი (უფალი, უზენაესი, იესო ქრისტე...). დავით გურამიშვილი „დავითიანში“ უპირატესობას ანიჭებს „მართლის თქმის პრინციპს“.

1. მაცხოვარი ----------*1ქ.*

2. სიმართლის დაუფარავად თქმას ----------*1ქ.*

7. პოეტს იმიტომ სურს სიკვდილამდე უმზიროს თამარ მეფის ფრესკას და „არ გამოფხიზლდეს“, რომ არ იხილოს სულით დაცემული (სულიერად განადგურებული, დაკნინებული, დიდებული წარსულის აჩრდილად ქცეული...) სამშობლო („რომ აღარ ვჰგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..“). პოეტი თამარ მეფის ხატებას შესთხოვს აღადგინოს დაცემული საქართველო (დაუბრუნოს საქართველოს ადრინდელი დიდება; აკურთხოს ჯვრით სამშობლო; აღუდგინოს ქართველებს დაცემული სული; გააქროს საქართველოში სიბნელე და უმეცრება...).

1. რომ არ ნახოს სამშობლოს სულიერი დაცემა (განადგურება) ----------*1ქ.*

2. მოხედოს მამულს ----------*1ქ.*

8. მოყვანილი სტროფის ბოლო ორ სტრიქონში მეფე ერეკლე გულისხმობს იმას, რომ ქართველთა წინაშე გაწეული ღვაწლის სანაცვლოდ თანამემამულეებმა უღალატეს და მტერი გაახარეს. იმის პირობა, რომ ქართველებს „უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ“, არის ის, რომ ქარ-

თველებს მეფედ ერეკლე ჰყავთ („ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ, უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“).
1. ღალატს ——————————————————————————————*1ქ.*
2. თავისუფლება ——————————————————————————————*1ქ.*

9. ლუარსაბს სტუმრის მისვლა იმიტომ არ სიამოვნებდა, რომ ტანსაცმელი უნდა ჩაეცვა. დავით და ლუარსაბ თათქარიძეების გაყრის საბაბი გახდა ის, რომ მათი ცოლები ვერ შეეგუენ ერთმანეთს (რძლების ურთიერთშეუთავსებლობა; რძლებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება...).
1. ტანსაცმლის ჩაცმა ეზარებოდა ——————————————————————————*1ქ.*
2. ცოლების ჩხუბი ——————————————————————————*1ქ.*

10. ბათუ თავის გადაწყვეტილებას – საფარ-ბეგის ნაცვლად მოიპაროს ცხენი, ამართლებს იმ არგუმენტით, რომ საფარ-ბეგს, როგორც უცხო მხრიდან მოსულს, გზა-კვალი აერევა. „გამზრდელის“ ანალოგიური სცენა, როდესაც უბედურების მომასწავებელი ავდრის დროს თხზულებაში ახალი პერსონაჟი შემოდის, გვხვდება ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდეგილი“.
1. „ჩვენში როგორც უცხოს, აგებნევა გზა და კვალი“ ——————————————————*1ქ.*
2. „განდეგილი“ ——————————————————*-1ქ.*

11. იმას, რომ ალუდა ქეთელაური თემის ტრადიციებს უპირისპირდება, განაპირობებს ალუდას შინაგანი თავისუფლება (ალუდა სულიერად თემზე მაღლა დგას; ალუდას შეუძლია მტრის ვაჟკაცობის დაფასება...). მუცალის სულის საცხონებლად სალოცავისათვის კურატის შეწირვისაკენ ალუდას უბიძგებს სინანულის განცდა (სინდისის ქენჯნა; მოკლული ვაჟკაცის სულისათვის პატივის მიგების სურვილი...).
1. დიდსულოვნება (ჰუმანურობა, სამართლიანობა, შემწყნარებლობა...) ——————————————*--1ქ.*
2. სინანული (სინდისის ქენჯნა...) ——————————————————————————*1ქ.*

12. ჯოყოლასთან შეხვედრისას ზვიადაურმა იმიტომ იცრუა, რომ ბევრი ქისტი ჰყავდა მოკლული და არ უნდოდა გზად შემოყრილ ქისტს იგი ეცნო („რა ქნას? მის სახელს იცნობენ, ქისტებს ბევრს სისხლი ავალა...“; „ბევრს ქისტს მოაჭრა მარჯვენა, უდროდ საფლავში ჩალალა“). ჯოყოლას საქციელი, როდესაც ის მარტოდმარტო შეებრძოლა მტერს, ქისტებმა შეაფასეს, როგორც თემის მასხრად აგდება (თანამემამულეების უპატივცემულობა, თემის ღალატი, თემისათვის პირის გატეხვა...).
1. ქისტების მტერი იყო ——————————————————————————*1ქ.*
2. თემის შეურაცხყოფა ——————————————————————————*1ქ.*

13. კუზმას აზრით, უჯუშის მიერ ჩადენილი დანაშაული ჰაკი აძბამ თავის თავზე იმიტომ აიღო, რომ ჰაკი მონური ფსიქოლოგიის ადამიანი იყო (ჰაკის განვითარებული არ ჰქონდა კლასობრივი თვითშეგნება...). მოკლული მეზღვაურის დატირებით ჰაკის სურდა კუზმა კილგას გული მოეგო და ამით უჯუში გადაერჩინა (ძიძიშვილი გადაერჩინა; უჯუშისათვის სასიკვდილო ხიფათი აერიდებინა; კუზმასათვის ერთგულება რომ დაემტკიცებინა...).
1. თავადების შიშმა ——————————————————————————*1ქ.*
2. კუზმას გულის მოგება (უჯუშის გადარჩენა) ——————————————————*1ქ.*

14. კისერზე ჩამოკიდებული ლეშის სიმბოლური სახე გამოხატავს იმ აზრს, რომ თეიმურაზი დაცემული (განადგურებული, წამხდარი, დაკნინებული...) ადამიანია (თეიმურაზ ხევისთავი „ნაკაცარია“; ლეში თეიმურაზის სულიერი მდგომარეობის სიმბოლოა; თეიმურაზი ცოცხალ ლეშს დაემსგავსა...). ამ საშინელი ხილვისაგან თეიმურაზი სახარების (ბიბლიის, წმინდა წიგნის, რწმენის...) მეშვეობით თავისუფლდება.
1. თეიმურაზის ცხოვრება ლეშივით ყარს ——————————————————————*1ქ.*
2. სახარების ——————————————————————*1ქ.*

15. სტრიქონები – „ღამენათევი და ნამთვრალევი ჩემს სამარეში ჩავესვენები“ – გამოხატავს ლირიკული გმირის რწმენის მსხვრევას (სულიერ მარტოობას, სასოწარკვეთას...). ავტორი ღვთისმშობელს მიმართავს მეტაფორით – „მზეო“ („დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ...“).
1. სრულ უიმედობას ——————————————————————————*1ქ.*
2. მზეო ——————————————————————————*1ქ.*

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები
(საერთოა ოთხივე ვარიანტისათვის)

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **25.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	**4**
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.	**3**
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	**2**
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	**1**
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. *დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.*	**3**
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**2**
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**1**
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***ორ*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	**2**
2.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***ერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	**1**
3.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის ***გამოყოფილი*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	**0**

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**2**
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**1**
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი შეცდომები*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**0**

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	**2**
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	**1**
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	**0**

VIII კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	**2**
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	**1**
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	**0**

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**0**